ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 38

2019 წ. „13" 12

ქ. თბილისი

ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტთან არსებული კერძო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტთან არსებული კერძო სკოლა ინტელექტის (ს/კ 212708747) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის N16 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

თავმჯდომარე
დავით მალაზონია

მდივანი
თამილა ჩუბინიძე